


# პროფილაქტიკური პროგრამის ლოგიკური მოდელი

აგნეშკა პისარსკა  
ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტი,  
ვარშავა

# სანამ დავიწყებდეთ....

- ▶ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობის ან პროფილაქტიკის პროგრამის ამოსავალი წერტილი არის პრობლემის არჩევა რომლის აღმოსაფხვრელადაც უნდა იმუშაოს მოცემულმა პროგრამამ.
- ▶ ეს პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით.

# პროგრამის ლოგიკური მოდელი



# გამოცდილება და უნარები

- ▶ ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პროფილაქტიკის პროგრამების შემუშავების და რეალიზაციის გამოცდილება.
- ▶ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან აღმზრდელობითი და დიდაქტიკური მუშაობის უნარები და გამოცდილება.
- ▶ გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებული უნარები: კომუნიკაციის უნარი, გუნდის შექმნის, მისი მუშაობის გაძლიერებისა და მისი წევრების მოტივირების უნარი.

# ცოდნა

- ▶ რა მექანიზმები უწყობენ ხელს პრობლემის/მოვლენის წარმოშობას რომლის წინააღმდეგაც უნდა იმუშაოს პროგრამამ?
- ▶ რისკის რა ფაქტორები განაპირობებენ ან აძლიერებენ არასასურველ პრობლემას ან მოვლენას?
- ▶ რა არის ის დამცავი ფაქტორები რომლებიც ანეიტრალებენ ან აკომპენსირებენ რისკის ფაქტორების ნეგატიურ ზემოქმედებას?



- ▶ რისკის ფაქტორების წინასწარი შერჩევა რომელთა გავლენაც პროგრამამ უნდა შეამციროს. აგრეთვე დამცავი ფაქტორების შერჩევა რომელთა გავლენაც პროგრამამ უნდა გააძლიეროს.

# საჭიროებების შეფასება

- ▶ ვინ იქნებიან პროგრამის მოქმედების ადრესატები?



- ▶ პროფილაქტიკის დონის შერჩევა (უნივერსალური, სელექციური, რეკომენდებული)
- ▶ მოქმედებათა მომავალი მონაწილეების ფუნქციონირების რომელ ასპექტებზე (გამოცდილება, დეფიციტი, არსებული რესურსები) უნდა იყოს კონცენტრირებული დიაგნოზი?



- ▶ რისკის ფაქტორების საბოლოო ჯგუფის შერჩევა რომელთა ხეგატიური გავლენაც უნდა შეიზღუდოს ან მინიმუმამდე დავიდეს. აგრეთვე დამცავი ფაქტორების შერჩევა რომლებიც პროგრამის დახმარებით უნდა გამოიერდეს.

# პროგრამის საწყისი მონახაზი

- ▶ პროგრამის საწყისი მონახაზი მოიცავს მთავარ მიზანს და აგრეთვე “ბილიკებს” რომელთაც მთავარი მიზნიდან დეტალურ მიზნებამდე, დეტალური მიზნებიდან კი მოქმედებებამდე მივყავართ.
- ▶ პროგრამის წინასწარი მონახაზი როგორც წესი ითვალისწინებს ძალზე ბევრი დეტალური მიზნის რეალიზაციას რომლებიც შემდგომ ეტაპზე ვერიფიკაციას უნდა დაექვემდებაროს.
- ▶ პროგრამის დამუშავების ყოველ ეტაპზე საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე რომ პროგრამას ლოგიკური სტრუქტურა ჰქონდეს.
- ▶ ეს ნიშნავს რომ პროგრამის ყოველი ნაწილი გამომდინარეობს წინა ნაწილიდან და აგრეთვე ლოგიკურადაა დაკავშირებული მომდევნო ნაწილთან.

# მთავარი მიზანი

- ▶ მთავარი მიზანი განსაზღვრავს პროგრამის ეფექტებს. მან უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია იმაზე თუ როგორი იქნება მოქმედებათა რეალიზაციის საბოლოო შედეგი.
- ▶ მთავარი მიზანი პასუხი უნდა იყოს გამოვლენილ პრობლემაზე ანუ ის უნდა ახდენდეს არასასურველი სიტუაციის სასურველ სიტუაციად მოდიფიცირებას.
- ▶ როდესაც პროგრამის მიზანს ვადგენთ, საჭიროა რომ მოვანდინოთ პრობლემის ხელახალი ფორმულირება ისე რომ ის შეიზღუდოს მთავარი მიზნის საშუალებით.
- ▶ მთავარი მიზანი (აგრეთვე დეტალური მიზნებიც) უნდა აკმაყოფილებდნენ SMART კრიტერიუმებს.



# SMART კრიტერიუმები

- ▶ **სპეციფიკური** (კონკრეტული, ზუსტად განსაზღვრული თუ რისი მიღწევა გვინდა)
- ▶ **გაზომვადი** (უნდა შეიძლებოდეს გაზომვა - იქნა თუ არა მიღწეული)
- ▶ **მისაღები** (კანონმდებლობასთან, ეთიკასთან და ბენეფიციართა მოთხოვნებთან შესაბამისი)
- ▶ **რეალური** (უნდა იყოს მიღწევადი ხელმისაწვდომი რესურსების და კომპეტენციების გამოყენებით)
- ▶ **ვადიანი** (მიზნის მიღწევისათვის გამოყოფილია კონკრეტული დროის ჩარჩოები)

# დეტალური მიზნები

- ▶ პროგრამის დეტალური მიზნები უნდა გვიჩვენებდნენ მთავარი მიზნის მიღწევის გზებს. ეს უნდა მოხდეს იმ გამოვლენილი ფაქტორების შეზღუდვით რომლებიც პრობლემის საფუძველს წარმოადგენენ (მიზეზები) და დამცავი ფაქტორების გაძლიერებით.
- ▶ მუშაობის ამ ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნას მოქმედების ორი ურთიერთშემავსებელი მეთოდი:

პირველი ემყარება საკუთარი თავისთვის შემდეგი შეკითხვების დასმას:  
რა არის ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზები?  
აგრეთვე: რომელ მიზეზებზე შეიძლება რეალური გავლენის მოხდენა.

მეორე საჭიროებს პასუხის გაცემას კითხვაზე:  
მიზნობრივი ჯგუფის წევრების რომელი უნარები, ცოდნა ან მიდგომები შეუწყობდნენ ხელს იმ ცვლილებას რომელიც აღწერილია პროგრამის მთავარ მიზანში (დამცავი ფაქტორები)

# ევალუაცია

- ▶ ევალუაცია არის პროცესი რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება რათა მისი საშუალებით მოხდეს პროგრამასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გაცემა,

## ანუ

- ▶ ესაა ინსტრუმენტი რომელიც ემსახურება პროგრამის სრულყოფას და ამით ამაღლებს მუშაობის ხარისხს.
- ▶ ევალუაციის დაგეგმვაში აუცილებელია მჩვენებლების შერჩევა რომლებიც საშუალებითაც მოხდება მიზნების რეალიზაციის დონის შეფასება.

# მაჩვენებლები


- ▶ მიზნების რეალიზაციის მაჩვენებლები არის საზომი რომელთა საშუალებითაც ვიგებთ – მოხდა თუ არა მოსალოდნელი ცვლილება ქცევებში, პოზიციებში, მიდგომებში, რწმენებში, ცოდნაში და ა. შ. – ანუ იმ სფეროებში რომლებზეც პროგრამამ გავლენა უნდა მოახდინოს.
- ▶ მაჩვენებლები არის მიზნების სწორი ფორმულირების გარანტი ანუ მათი განსაზღვრის გარანტი იმ ვადებში რომლებშიც პროგრამის ბენეფიციარები მოელიან ცვლილებებს.
- ▶ თუ შეუძლებელია მაჩვენებლის მოძებნა პროგრამის მოცემული მიზნისთვის, ეს ნიშნავს რომ მიზანი არ იქნა სწორად ჩამოყალიბებული და ის უნდა შიცვალოს.

# მოქმედებები

დაგეგმილი მოქმედებები:

- ▶ მათ უნდა ჰქონდეთ დოკუმენტირებული კავშირი რისკის ფაქტორების გავლენის შეზღუდვასთან და აგრეთვე დამცავი ფაქტორების გაძლიერებასთან რომლებიც პროგრამაშია გათვალისწინებული.
- ▶ უნდა ემყარებოდნენ ეფექტურ პროფილაქტიკურ სტრატეგიებს.
- ▶ ამ მოქმედებების ტიპი, მათი ინტენსიურობა და ხანგრძლივობა პროგრამის დეტალური მიზნების და ბენეფიციარების სპეციფიკის შესაბამისი უნდა იყოს.

# პროგრამის ლოგიკური მოდელი



- ▶ პროგრამის ლოგიკური მოდელი დამუშავდა ახალგაზრდული პროფილაქტიკის ლაბორატორიაში „Pro-M“, ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტში, გრეგორ ბურკჰარტის პრეზენტაციის საფუძველზე - “Prevention, EDDRA, logic model and evaluation”.

ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე:

- ▶ [https://drogeiovisnosti.gov.hr/UserDocsImages/uredarhiva/2012/11/Gregor\\_Burkhart\\_Croatia\\_Tour\\_2012\\_intro.pdf](https://drogeiovisnosti.gov.hr/UserDocsImages/uredarhiva/2012/11/Gregor_Burkhart_Croatia_Tour_2012_intro.pdf)